



საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2017 წლის 22 დეკემბერი

№ 146

თბილისი

სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტის დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. დამტკიცდეს, სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ (ს/ნ: 212896570) ობლიგაციების ემისიის წინასწარი პროსპექტი;
2. სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალის“ (ს/ნ: 212896570) დაევალოს კანონით დადგენილ ვადებში და წესით ფასიანი ქაღალდების ემისიის საბოლოო პროსპექტის წარმოდგენა;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

მ.კიკორია